საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ყოველთვიური ელექტრონული ბიულეტენი

თებერვალი, 2024

მოგესალმებით,

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (ათეა) იწყებს საინფორმაციო ბიულეტენებზე მუშაობას, რომლებიც ყოველი თვის ბოლოს ელექტრონული ფოსტის საშუალებით მოგეწოდებათ.

ბიულეტენის მიზანს წარმოადგენს ინფორმაციის გაზიარება, ასოციაციის, მისი წევრი მუნიციპალიტეტებისა და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

თქვენთან ერთად ბიულეტენის ადრესატები იქნებიან ასოციაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები, აგრეთვე, ათეა-ს, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციები და მუნიციპალიტეტების საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურების/განყოფილებების უფროსები.

არ გამოტოვო სიახლეები !!!

გამოგვიწერეთ

გამოგვყევით 👇

ათეა-ს სიახლეები

ათეა იწყებს საკონსულტაციო სერვისის დანერგვას, რომელიც გულისხმობს მუნიციპალიტეტების მხარდაჭერას ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებაში.

საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართება გარკვეული პერიოდულობით,თემატიკა კი შეირჩევა მუნიციპალიტეტების საჭიროებებზე მორგებული მოთხოვნის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ მარტის თვეში უკვე დაგეგმილია 4 საკონსულტაციო ონლაინ შეხვედრა, რომლებსაც სხვადასხვა დარგის ექსპერტები წარმართავენ.

კონსულტაციაზე დასასწრებად საჭირო იქნება მარტივი რეგისტრაციის გავლა. შეხვედრის შესახებ წერილობით ეცნობება მუნიციპალიტეტებს. ინფორმაცია ასევე ერთი კვირით ადრე გამოქვეყნდება ათეა-ს სოციალურ გვერდებზე.

ნუ გამოტოვებთ სიახლეებს და გამოგვყევით 👇

ათეა-ს სიახლეები

ასოციაციისა და წევრი მუნიციპალიტეტების საქმიანობის კიდევ უფრო ეფექტიანად წარმართვისთვის, ჩვენს ორგანიზაციაში იქმნება ათეა-ს მედია ქსელის დახურული ჯგუფი, რომლის დახმარებითაც ერთობლივად განვახორციელებთ სხვადასხვა აქტივობებისა და ღონისძიებების მედია მხარდაჭერას.

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მედია ქსელი აერთიანებს ათეა-ს წევრი მუნიციპალიტეტების საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის წარმომადგენლებს. დახურული ჯგუფის მიზანს წარმოადგენს კოორდინაციის გაძლიერება, გამოწვევების დასაძლევად ერთიანი მექანიზმების შემუშავება, ასევე მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული კარგი პრაქტიკის გაზიარება.

ათეა-ს სიახლეები

როგორც იცით, ათეა-სა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, პროექტის - „ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერა ბავშვზე მორგებული სოციალური პროგრამირების განვითარებაში“ ფარგლებში დაფუძნდა სამეგრელო-ზემო სვანეთის ინტერმუნიციპალური პლატფორმა, რომელიც მუნიციპალიტეტებს შორის გამოცდილების გაზიარებისა და სერვისების ერთობლივად მიწოდების ხელშეწყობის მიზნით, სამეგრელო-ზემო სვანეთის ყველა მუნიციპალიტეტს აერთიანებს.

აღსანიშნავია, რომ პლატფორმა, როგორც ერთგვარი ინსტრუმენტი, პროექტის დასრულების შემდეგაც გააგრძელებს ფუნქციონირებას.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ინტერმუნიციპალური პლატფორმები, გურიისა და მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტებშიც დაფუძნდება, რომლებიც უკვე ათეა-ს ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით დაიწყებენ ფუნქციონირებას.

27 თებერვალს, ქალაქ ფოთში, სამეგრელო-ზემო სვანეთის ინტერმუნიციპალური პლატფორმის IV სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

ვრცლად

28-29 თებერვალს, ათეა-ს ორგანიზებით და ხელშეწყობით, სამშენებლო თემით დაინტერესებული მუნიციპალიტეტებისთვის ტრენინგი თემაზე: სამშენებლო სამართლის პრაქტიკული საკითხები გაიმართა.

ვრცლად

ათეა-ს სიახლეები

საქართველოში, დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობისა და რეგიონებში ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასა და LED პროექტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

პარტნიორობის ფარგლებში საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია ხელს შეუწყობს კარგი პრაქტიკის გაზიარებასა და პროექტის მიერ მხარდაჭერილ საჯარო-კერძო დიალოგის პლატფორმებში ადგილობრივი მხარეების ჩართულობის გაზრდას.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს, ათეა-ს აღმასრულებელმა დირექტორმა, ნინო რუხაძემ, საქართველოში LED პროექტის ხელმძღვანელმა, მაიკლ ჰეინესმა და მისმა მოადგილემ გვანცა ირემაშვილმა.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

ევროპის საბჭოს კონგრესი მონიტორინგის კომიტეტის სხდომა, რომელიც ივლისშია დაგეგმილი, თბილისში გაიმართება

სიახლეები მუნიციპალიტეტებიდან

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობასთან შეხვედრები ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტში გაიმართა

სოფლის კრებებზე, ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები მოსახლეობას პირადად აცნობდნენ პროექტის მიზნებს. მნიშვნელოვანია, რომ განსახორციელებელი პროექტების პრიორიტეტულობას ადგილობრივი მცხოვრებლები თავად განსაზღვრავენ, შესაბამისად, ეს პროგრამა ხელს უწყობს მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას მათი სოფლისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებასა და თემის პრიორიტეტების შერჩევაში.

2023 წელს, ქვეყნის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში დაიწყო საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამა, რომელიც მოიცავს, ჯამში, 885 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია-მშენებლობას. საბავშვო ბაღები აშენდება და რეაბილიტირდება საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ვრცლად



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო აქტიურად აგრძელებს დეცენტრალიზაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას.

ვრცლად

სიახლეები თვითმმართველი ქალაქებიდან

თბილისის მერის ინიციატივით, მოქალაქეებისთვის საცხოვრებელი ფართების დაკანონება გრძელდება

15 თებერვალს, თბილისის მერმა კახა კალაძემ, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობები საბურთალოს, ვაკის, ისნის, მთაწმინდის, კრწანისისა და სამგორის რაიონში მცხოვრებ 33 ოჯახს გადასცა. წლების განმავლობაში დაუკანონებელი საცხოვრებელი ფართები ამ ოჯახებს სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადაეცათ.

იხილეთ ვიდეო

დედაქალაქის საკრებულომ მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის დამტკიცების თაობაზე დოკუმენტი მიიღო

პროექტი თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივითა და ათეა-ს პარტნიორი - გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით შეიქმნა.

ვრცლად

რუსთავის განვითარებაში ახალგაზრდების აქტიურად ჩართვის მიზნით, ქალაქის მერიამ ახალი პროექტის განხორციელება დაიწყო

,,თაობა რუსთაველი - ასეთი სახელწოდება აქვს პროექტს, რომლის ფარგლებშიც რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე ახალგაზრდებს რუსთავზე სასაუბროდ იწვევს.

ვრცლად

რუსთავში პროგრამის - „მართე შენი ქალაქი“ მეექვსე ეტაპი დაიწყო.

ვრცლად

„ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ პროგრამის ფარგლებში ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს

ბათუმში საცხოვრებელი სახლების სამშენებლო და გამაგრება-რეაბილიტაციის სამუშაოები ამ ეტაპზე მიმდინარეობს 9 მისამართზე, ხოლო დასრულდა 12 მისამართზე.

ყველა ავარიული შენობა თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი კომპლექსით ჩანაცვლდება და 3000-ზე მეტი ოჯახი უსაფრთხო საცხოვრებელ გარემოში შეძლებს ცხოვრებას.

იხილეთ ვიდეო

ბათუმის მერია ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეულ სტადიაზე დიაგნოსტიკისა და პრევენციის პროგრამას ახორციელებს.

იხილეთ ვიდეო

ასევე,ბათუმის მერია ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით სხვადასხვა პროგრამას ახორციელებს.

იხილეთ ვიდეო

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ადგილობრივი საბჭოს სხდომა გაიმართა

ქუთაისის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი პირველია საქართველოში, რომელმაც მუშაობა დაიწყო მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ადგილობრივ დონეზე დასანერგად და „მდგრადი განვითარების მიზნების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დოკუმენტი“ მიიღო.

SDG დოკუმენტით, თითოეული ამოცანის შესრულება გაწერილია დროში და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტად განსაზღვრულია გაეროს მდგრადი განვითარების 12 მიზანი, 29 ამოცანა, 49 ინდიკატორის საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები (2030 წლისთვის).

ვრცლად

1 თებერვალს, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოაცხადა კონკურსი საპროექტო განაცხადების მიღებაზე.

კონკურსის მიზანია ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება, ახალგაზრდების პოტენციალის რეალიზებისა და უნარების განვითარების ხელშეწყობა.

ვრცლად



ადგილობრივი მცირე და საშუალო მეწარმეების მხარდაჭერის მიზნით, ქუთაისის მერიამ კონკურსი გამოაცხადა, რომელიც ქალაქისთვის ისტორიულად მნიშვნელოვანი პროდუქტებისა და სერვისების აღდგენისა და შენარჩუნებისთვის ფინანსურ მხარდაჭერას გულისხმობს.

ვრცლად

ფოთის მერია, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის ორ სტუდენტს 3 თვით საზღვარგარეთ სწავლას დაუფინანსებს

ბექა ვაჭარაძე: „2024 წელს დაგეგმილი გვაქვს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის ფოთელი სტუდენტების სტიპენდიებით წახალისება, გაცვლითი პროგრამების დაფინანსება კონსტანცას ცნობილ საზღვაო უნივერსიტეტებსა და სხვადასხვა საერთაშორისო საზღვაო საგანმანათლებლო ორგანიზაციებში.“

ვრცლად

European Best Destinations-მა ბათუმი 2024 წლის ევროპის 5 საუკეთესო ტურისტულ მიმართულებებს შორის დაასახელა.

თბილისი fDi Intelligence-ის ევროპის მომავლის ქალაქების 2024 წლის რეიტინგის ორ კატეგორიაში, ათეულში შევიდა.

პოპულარულ ტურისტულ მიმართულებებს შორის, ტურისტული პლატფორმა - **,,European Best Destinations',** მოგზაურებს ურჩევს 2024 წლისთვის საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიისა და შვეიცარიის პოპულარულ მიმართულებებთან ერთად ბათუმშიც იმოგზაურონ.

ვრცლად

საქართველოს დედაქალაქი კვლავ მსოფლიოს უმსხვილესი გამოცემის ყურადღების ცენტრში მოექცა

EUROPEAN CITIES AND REGIONS OF THE FUTURE 2024

Financial Times ჯგუფის წევრმა fDi Intelligence „ევროპის მომავლის ქალაქებისა და რეგიონების“ 2024 წლის რეიტინგი გამოაქვეყნა, სადაც თბილისი ორ კატეგორიაში,

ათეულში აღმოჩნდა. თბილისი „ხარჯთეფექტიანობის“ კატეგორიაში, ევროპის წამყვან ქალაქებს შორის, მეექვსე ადგილზე, ხოლო „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგიის“ ნომინაციაში მეცხრე ადგილზე დასახელდა.

ვრცლად

ათეა გისურვებთ წარმატებას !